ხელშეკრულება №135

ქ. ყვარელი 14.09.2016 წელი

ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგეობა „შემსყიდველი“ წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის გამგებლის ილია მზექალაშვილის სახით და მეორეს „მიმწოდებელი“ შ.პ.ს. „იბერია სერვისი“ SKODA წარმოდგენილი მისი დირექტორის დავით ჯოხაძეს შორის.

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. ,,ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში ,,ხელშეკრულება") ,,სახელმწიფოშესყიდვის შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული შეთანხმება, რომელიც ხელმოწერილია მხარეების მიერ მასზეთანდართული ყველა დოკუმენტით, რომელზეც ხელშეკრულებაში არის მითითებული;

1.2. ,,შემსყიდველი" ნიშნავს ორგანიზაციას, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.3. ,,მიმწოდებელი" ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც

,,შემსყიდველთან"გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.4. ,,ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს ,,შემსყიდველმა" ,,მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.5. დღე, კვირა, თვე ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული;

2.ხელშეკრულები საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანია: ყვარლის მუნიციპალიტეტის ბალანსზე მყოფი ავტოსატრანსპორტო საშუალების (2013 წლის გამოშვების შკოდა ოქტავიას სახელმწიფო ნომრით GL-224-LG) ტექნიკური და მასთან დაკავშირებული მომსახურების შესყიდვა.

2.2. ხელშეკრულებით გათავლისწინებული მომსახურება მოცემულია დანართ N2-ში

2.3 მიმწოდებელი ვალდებულია დანართ N2-ში მითითებული მომსახურება მიაწოდოს შემსყიდველს

2.4 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება უნდა განხერციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 1 კვირისა.

2.5 შემოთავაზებული პროდუქცია უნდა იყოს მაღალი ხარისხის, უნდა აკმაყოფილებდეს თვითეულ სახეობებისთვის ინდივიდუალურად წაყენებულ სტანდარტულ მოთხოვნებს და არ უნდა იწვევდეს სამუშაო პროცესის შეფერხებას.

2.6 მიწოდებულ საქონლზე ქარხნული დეფექტის ან მიმწოდებლის ბრალეულობით გამოწვეული რაიმე ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას ზემოთაღნიშნული დეფექტი.

2.7 მიმწოდებელი ვალდებულია დაუყონებლივ, შემსყიდველის ზედმეტი დანახარჯების გარეშე, აღმოფხვრას აღმოჩენილი წუნი/დაზიანება.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 2870 (ორი ათას რვაას სამოცდაათი) ლარს;

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებასთან და მომსახურებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს;

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში, ,,მიმწოდებლის“ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე;

4.2. ,,მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება იწარმოებს ერთ ეტაპად, ხელშეკრულებით გათვალისწინებლი მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1. ,,მიმწოდებლი" ,,შემსყიდველს" წარუდგენს მიღება-ჩაბარების აქტს;

5.2. მიღება-ჩაბარების აქტში მითითებული უნდა იყოს არანაკლებ შემდეგი მონაცემები: გაწეული მომსახურების დასახელება, მოცულობა და ღირებულება;

6. მომსახურეობის გაწევის ადგილი და ვადა

6.1. მომსახურეობის გაწევის ადგილად განისაზღვრება ქ. თბილისი.

6.2 მომსახურება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 1კვირისა.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 ,,შემსყიდველის“ უფლება აქვს:

- ,,მიწოდებულისაგან" მოითხოვოს ხელშეკრულებით გათავალისწინებული ყველა პირობის დაცვა;
- ნებისმიერ დროს განახორციელოს ,,მიმწოდებლის" მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

7.2 ,,შემსყიდველი“ ვალდ ებულია:

-მოახდინოს ანგარიშსწორება ,,მიმწოდებელთან" ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

7.3 ,,მიმწოდებელს“ უფლება აქვს:

- მოსთხოვოს ,,შემსყიდველს“ მოწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება, ხელშეკრულებით გათავლისწინებული პირობებით.

7.4 ,,მიმწოდებელი“ ვალდ ებულია:

- შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება, სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების მე-6 მუხლში;

- უზრუნველყოს საქონლის მიწოდება ტექნიკურ დავალებაში, სატენდერო წინადადების განფასებისა და მისი დანართის შესაბამისად;
- იმ შემთხვევაში, თუ მიწოდებული საქონელი არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს (რის შესახებადაც მაც წერილობით აცნობებს ,,შემსყიდველი'') საკუთარი ხარჯებით აღმოუფხვრას აღმოჩენილი ხარვეზი.

9. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

9.1 . ,,შემსყიდველი" უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

9.2 ხელშეკრულების ინსპქტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს
შემსყიდველის მხრიდან შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი.

9.3 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ
,,შემსყიდველი'' დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს ,,მიმწოდებელს'' წუნდების მიზეზების მითითებით.

9.4 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება ,,მიმწოდებელს'' საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

10.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაამისად.

10.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეებს დაეკისრებათ პირგასამტეხლო ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის ხელშეკრულების ღირებულების 0,5%-ის ოდენობით;

10.3იმ შემთხვევაში თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 3 (სამი)%-ს ,,შემსყიდველი'' იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოთხოვოს ,,მიმწოდებელს'' ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება;

10.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან;

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია

11.3 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებებისშედეგად უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრლების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის გათვალისწინებული პირობების დადგომს შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10% მეტი ოდენობის გაზრდა..

11.5 ხელშეკრულებაში პირობების ცვლილება ფორმდება დანართის სახით და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

12. ფორს-მაჟორი

12.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობებისშეუსრულებლობა არ გამოიწვევს მის პასუხისმგებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებები შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორი გარემოებების შედეგი.

12.2. ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათ კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული ,,შემსყიდველისა" ან
,,მიმწოდებლის" შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

12.3. ფორს-მაჟორი გარეომოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულებისდამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინებაასეთი გარემოებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობების მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას და ცდილობს გამონახოს შესრულების ისეთი ალტერნატიურლი ხერხები, რომლების დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველადავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

14.სხვა პირობები

14.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
14.2. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ საკუთარი სახელით, ხარჯითა და რისკით.
14.3. ხელშეკრულება შედგენილი ქართულ ენაზე 3 (სამი) ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.
14.4. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.
14.5. ყველა დანართი და ხელშეკრულების დამატება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად და სავალდებულოა შესასრულებლად.

15.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედების ვადა ერთი თვით აჭარებს ხელშეკრულების შესრულების ვადას

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგებელი:

ი.მზექალაშვილი

„----------"

შ.პ.ს. „იბერია სერვისი" SKODA-ს დირექტორი

დ.ჯოხაძე

„----------"

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგეობა; მისამართი კუდიგორის ქ. №1; ს/კ 241578574	შ.პ.ს. „იბერია სერვისი" SKODA მის: ქ. თბილისი დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ ს/კ 204982359 საბანკო რეკვიზიტები სს"ვითიბი ბანკი ჯორჯია" ანგარიშის № **GE69VT 6600 0000 0320 3602** ბანკის კოდი **UGEBGE22**

დანართი N2

2013 წლის გამოშვების შკოდა ოქტავიას სახელმწიფო ნომრითGL-224-LG) ტექნიკური და მასთან დაკავშირებული მომსახურება	რაოდენობა	ღირებულება ლარი
მახავიკი	1	1450
ძრავის უკანა სალნიკი	1	150
გადაბმულობის კომპლექტი	1	970
ვიჟიმნოი საკისარი	1	130
მექანიკური გადაცემათა კოლოფის მ\დ	1	170
ჯამი: 2870		

დეფექტური აქტი

ქ. ყვარელი 15.09.2016წ

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგებლის მძღოლი ზურაბ სეფაშვილი და შ.პ.ს. „იბერია სერვისი“ SKODA-ს წარმომადგენელი ავთანდილ მიქავა ვადგენთ აქტს მასზედ, რომ ყვარლის მუნიციპალიტეტის ბალანსზე მყოფი ავტოსატრანსპორტო საშუალების (2013 წლის გამოშვების შკოდა ოქტავიას სახელმწიფო ნომრით GL-224-LG) ამორტიზებული აქვს და შეცვლას ექვემდებარება შემდეგი დეტალები:

2013 წლის გამოშვების შკოდა ოქტავიას სახელმწიფო ნომრითGL-224-LG) ტექნიკური და მასთან დაკავშირებული მომსახურება	რაოდენობა	ღირებულება ლარი
მახავიკი	1	1450
ძრავის უკანა სალნიკი	1	150
გადაბმულობის კომპლექტი	1	970
ვიჟიმნოი საკისარი	1	130
მექანიკური გადაცემათა კოლოფის მ\დ	1	170
ჯამი: 2870		

აქტის სინამდვილეს ვადასტურებთ: /ზ. სეფაშვილი/

/ა.მიქავა/

მიღება ჩაბარება №138

ქ.ყვარელი

15,09.2016 წ

ერთის მხრივ „შემსყიდველი“ ყვარლის მუნიციპალიტეტი, წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის გამგებლის ილია მზექალაშვილის სახით და მეორეს მხრივ „მიმწოდებელი“ შ.პ.ს. „იბერია სერვისი“ SKODA წარმოდგენილი მისი დირექტორის დავით ჯოხაძის სახით ვადგენთ აქტს მასზედ რომ, ჩაბარებულია მომსახურება სახელმწიფო შესყიდვების №138 ხელშეკრულების თანახმად კერძოდ ყვარლის მუნიციპალიტეტის ბალანსზე მყოფი ავტო სატრანსპორტო საშუალების (2013 წლის გამოშვება შკოდა ოქტავია სახელმწიფო ნომრით GL-224-LG) ტექნიკური და მასთან დაკავშირებული მომსახურება. ფაქტიურად შესრულებული მომსახურების ღირებულება შეადგენს 2870 (ორი ათას რვაას სამოცდაათი) ლარს

აქტის სინამდვილეს ვადასტურებთ:

ყვარლის მუნიციპალიტეტის

გამგებელი

/ი.მზექალაშვილი/

შ.პ.ს. „იბერია სერვისი“ SKODA-ს დირექტორი

/დ.ჯოხაძე/